

# მათრასი

იუმორისტ. ჟურნალი



№ 6

რედაქცია მოუწოდებს პატივცემულ კორესპონდენტებს მოგვარდნად მისაღები. ადრესი: Тифლისь, Типог. Шрожа. „Матрахи“



## ჩვენი „აღმზრდელი“ ტაძარი.

წერა-კითხვისა მომფენი,  
ჩვენი „აღმზრდელი“ ტაძარი,  
„გმირების“ ხელში ჩავარდა,  
კედლებსა გააქვს ზანზარის  
ისმის ლანძღვა და გინება,  
სიტყვები გულშეხარია,  
ასე მგონია, აქ არის  
აულაზრელების ბაზარი.

„მცველნი“ კარებში ჩამდგარან,  
იბრძვიან თავ-გამეტებით,  
ახალ-თაობას, მშრომელ ხალხს  
თავ-პირს უმტრევენ კეტებით!

კრებებზე ლაზღანდარობენ,  
სიტყვების გადატეხებით/  
ის ბეწვს დაემებს სხვის თვალებში,  
ვისაც სავსე აქვს ბელტებით.

ხალხი სასწავლად მიიღტვის,  
წერა და კითხვა სწყურია,  
სწავლულნი გზასა უღობავს  
აბა ეგ სადაურია?!  
„უზენიკებით“ ვაჭრობენ,  
ვითა დალალი ურია  
და მათმა ბაქი-ბუქობამ  
გამოგვიტედა ყურია!..

მათრასისა

მთრახო მისთვის შევხარი,  
მე შენსა გამოჩენასა,  
ვიცი დაცოცხავ სულ ყველას  
ვინც სხვისით ელის რჩენასა...

ვინც რომ ღალატობს მშრომელებს,  
მათ სამტროთ ანძრევს ენასა,  
გაუტყლაშუნებ შენს კულსა  
აროდეს მისცემ ღებენასა!..

ვინც გულ-ბოროტობს, არ იშლის  
სადურშიშხანათ რბენასა;  
იმას ხომ ტვინსა აუღლვრევ  
ვეღარ გაბედავს კბენასა...

ჩაგრულთა მგვობარი ხარ,  
შენგან ელიან შეველასა,  
სულ ყველას კუდი აუწვი  
ვინც დაემგვანოს მელასა.

მთრახო მისთვის გვიამა  
კვლავ შენი გამოჩენაო,  
ჩარჩებმა ღამის ჩაგველაბონ  
მუნჯმაღაც კიდევ ენაო;

აბა რას წინავეს გეთაყვა  
იღ ქვეყნისა წოდება?  
მე შენსა აუტყლა  
კლთა ყველა წოდება!

ბნებიან: „თაფხედნო,  
ევისა გაიფიცეთო,  
როგცმთ რაც-კი გერგებათ  
დაც თაფში ქვა იცეთო.“

მერთს მისთვის გაუჩენიხართ...  
რომით ოფლი ღვართით,  
თქვენი ნაშრომ-ნაღვწი  
იც მუქთად მოვიხმართო“.

მთრახო ამგვარ მსაჯულებს,  
ც სულს უხუთავს ჩაგრულებს,  
შითხარი ძმობილო,  
ს მეტი ვინ მოარჯულებს?!

საცა სტანჯავს უზომოთ  
ის ტვირთ-მძიმე უღელი  
შველდ... ამას გთხოვს

იონა თლუღელი.

ვიჩა (იგავისებური)

ვირმა ერთხელ ღმერთს შესჩივლა:  
ვირათ რად გამაჩინებენ  
ჩემთვის უქმიც არ არსებობს,  
კურტანს ვათრევ ყოველ დღეო.  
მოსვენება აღარა მაქვს  
დავალ ხან იქ, ხან აქაო,  
პატრონი-კი სახრით მომდევს,  
ხშირათ მიწვევს გალახვოა.

და რისათვის? რას ვაშავებ?  
ასე რომ ვიტანჯვი მეო?  
თუ რამ სხვა გზა არ მოვინახე,  
არ ღირს ჩემი სიცოცხლეო!..

სთქვა და კიდევ შეასრულა  
ვირმა თავის განაპირი,  
წისქვილზე მზათ წასასვლელად —  
პატრონს გაეპარა ვირო.

გადიკარგა შორს სადღაცა,  
აირჩია ტყე უღრანი,  
შემძვრა იქ და საბალახოთ  
ღარჩა კიდევ დიდი ხანი.

ვირო მეტად განებივრდა  
და, როდესაც ძველი ქერქი  
უკუუგდო, აღარ აჩნდა  
ზღრგზე პატრონის დანაშატი.  
გახალისდა, აკურტრუშდა  
და დაალო მისებრ ხახა,  
უცნაური დიდის ხმიითა  
ერთი კიდევ შემოსძახა...

იქ, მახლობლად, ბუს ღრუში მჯდომს  
ვირის ხმა რომ შამოესმა —  
„ხმა ჩემი, ხნის მგზავსიაო“  
სთქვა ფრინველთა უხუცესმა.

და მიფრინდა ვირთან ბუმე:  
გამარჯობა მომღერალსო!  
მადლობა ღმერთს რომ აქ შემხვითი  
მოსმიღერეს მთლად ჩემს მგზავსო!..  
მეც მაგფერი მღერა ვიცი,  
როგორიც შენ გცოდნიაო  
და თუ თანხმა შენც იქნები  
დაემეგობრდეთ სჯობიაო.

მარა გეტყვი, აქ რომ დაგრჩეთ,  
არ ივარგებს მგონიაო,  
მე სულ სხვა ადგილი ვიცი,  
მართლაც მოსაწონიაო.

იქ წავიდეთ — უთხრა ბუმე —  
მარა ერთი რამეაო,

დღე მე ვშიშობ ვზახე წასვლას  
და შენ კიდევ ლამეაო.

— ძლიერ კარგი — უთხრა ვირმა —  
დავმეგობრდეთ ძაშიაო,  
მარა მგზავრობაზე შიში,  
ნეტა რისი ბრალიაო?

— იმისი რომ ფრინველები  
ყველა ჩემი მტრებიაო,  
თუ რომ მნახეს გამწეწავენ,  
ვით ცხვარს ტურა-მგლებიაო!

და შენ კიდევ ტყის ნადირნი  
გდარაჯობენ, ვიცი ესო  
და ლამობით სიარული,  
რა თქმა უნდა განანებსაო!..

ვირმა უთხრა, — ძლიერ კარგი,  
მჯერა ასეც იქნებაო,  
მარა რისთვის? რას გვერჩიან?  
ისიც გეცოდინებაო!

— როგორ არა, ვიცი ყველა  
შენიც ჩემიც წარსულნიო  
და ისმინე გეტყვი კიდევ  
თუ რათ გვდევნენ ავსულნიო;

მამა ჩემის მამა ძველათ  
მეფე იყო ფრინველთაო,  
ეს ქვეყანაც მისი იყო  
მთლად, რაც არის მიწოდორ-მთაო.

მთელ სამეფოს განაგებდა,  
უვლიდა და ხედვოდაო,  
მის ურჩობას, წინააღმდეგს  
ვერც ვერვინ გაბედვოდაო.

მარა თქმულა, რომ ერთი დრო  
სულ არავის შერჩებოაო,  
და კარგ დროსთან ავი დროცა  
თავზე დაეჩიებოაო.

მეფემ თურმე ერთ საღამოს  
მოსვენება განიზრახა  
და რომ ფეხი დაეხანა,  
პატარა ჩიტს დაუძახა.

ჩიტუნამ დაბანის დროს  
მაგრათ ფეხზე მოუჭირა  
და რომ ტკივილს ვერ გაუძლო,  
ბუმი საშინლად დაიუვირა:

რა თავს იგდებ შე უზრდელიო,  
ასე მაგრათ რომ მზან ფეხსო!  
თუ ვადამტყდა, რას მიპირებ  
შენს მძანებელ მეუფესო?!.

ჩიტუნამ უპასუხა:  
არა მჯერა რაც სთქვი თქვენო  
და ამიტომ გაგიბედავ,  
გკითხავ რამეს, ნუ მიწყენო.

ამოდენა თავი რომ გაქვს  
და თვალებიც დიდრონიო,  
დავიჯგერო ღონე არ გაქვს  
შესაფერი იმდრონიო?

მეფემ უთხრა: „სულელი ხარ  
და გატყუებს თვალებიო,  
რათ გგონია, სიდიდეში  
იყოს დიდი ძალებიო?“

აი თუნდაც შენზე ვიტყვი,  
პატარა ხარ ვითა რკოვო,  
მარა ვიცი, რომ მეტაკო,  
მთლად ერთიან დამამტროვო!..

ჩიტუნამ მეორე დღეს  
მოუყარა ფრინველთ თავი  
და მათ უთხრა დაწვრილებით  
გუშინდელი ბუს ამბავიო..

და ისეთი შენსა მტრისა,  
მაშინ რომ ბუს წაეკიდაო...  
ფრინველები თავის მეფეს  
გასაწეწათ წაეკიდა.

დაეწიენ საწყალს კიდევ,  
თურმე სცემეს იმოდენა,  
რომ მკვდარ-ცოცხლად მიგდებულსა  
არ ძალუძდა შორს გაფრენა.


და როცა რომ გონს მოვიდა,  
მეტი ძალაც აღარ იყო,  
იქვე ტყეში, ერთ ხის ღრუში,  
საცოდავი შემძვრალიყო.

წასულ შიშის მოგონებით  
დღე გამოსვლას ვერ ბედავდა,  
მხოლოდ ღამე თავის ნაღველს  
მწუხარებით გამოსთქვამდა..

და ეს შიში იმას შემდეგ  
მის მომავალს ვადმოგვეცა,  
რის წყალობით დღე ვიპალი  
და ღამე-კი ვყვირი მცა!..

ირ. გოგოლაძე.

(დასასრული აქნება)



მამა და შვილი.

ნასწავლი შვილი.

მამა შენ გენაცვალე შვილო თედორე, მითხარი ერთი პასუხი სწორე, სულ სწავლა სწავლა, ხარჯე ფულიები! აწი რას ფიქრობ, რას ებრძები? რას ნიშნავს: ტროსტი, საყელო, ბანტი! სუდი ხარ, ჩლენი, თუ აღოკანტი?!

შვილი. ხა-ხა-ხა,—არცა ერთი მითვანი, კაცი ვარ ისე, კულტუროსანი.

მამა.—კულტუროსანი! ეს რა ცოდვაა, ალბათ ეს რაღაც ახალმოდაა?!

შვილი.—ხო რაღა, ისე,—ესწორე, ვერნალისტობ, შევცვალე ფრონტი, ვფედერალისტობ.

მამა.—ხალხს გვფელატე? რა სთქვი შვილო ეს, თავის დასაკლავ დანას გავიღეს!

შვილი.—აბა რა იცი,—ეს ტაქტიკაა, ფედერალობა დიდი სარფაა.

დაბერდი კაცი, არ იცი განა? ქანქარზე ბრუნავს მთელი ქვეყანა.

მამა.—მერე და ქანქარს ვინ მოგაშავებს?

შვილი.—მას ჩემი ტვინი შეიძუშავებს.

მთელი უპრავეა, კანტორ ბანკები, იმათ ხელშია სულ გასაღები!

მე გარეთ ავსტებ: წუნწკულ-ყფფასა,

ვინმე მომდგება, გადმომხედავსა;

მაშინ დასელებს შეუქანქალეებ,

კარს გამოიღებენ, შევიცანკალებ.

მამა.—მერე სულ ასე უნდა იყფო და შეაწუხო მთელი სამეფო?

რას შევები, ხალხმა ისევე რომ აღსდგეს და მოლაღატეს კარზე მოვადგეს?

შვილი.—მაშინ ყურ-ცქვეტა, კულის ქიცინი, დემაგოგობა, ენის ტიტინი,

კვლავ ვითა ტიტე თუნდ სულ იძინე, ხან ვით სილოვან გადმევიინე.

მამა.—არ ვფიქრობ იყოს აგრე აღვილი, სჩანს მეზარაღე ეგ ერთი შვილი!

ერთი თვის შემდეგ.

შვილი.—მამავ, ხომ ახდა ჩემი სიხმარი?

გამიღო კიტამ კასისა კარი,

სტოპენდით მაქვს უხვი ქანქარი,

რუსეთში მეფალ, დამლოცე მგზავრი.

მამა.—დამილოცინხარ, მარა ძნელია, შენი ცხოვრება ბოლოს ბნელია.

შხანკოლა.

ყურთა სმენა იყოს. ამისწინა წინაფორთი და მემართა შინ, რომე ცას და ქვეყანას შაფეცოდვი ბ ისეთა ჩემი საქმე. გუშუფი შვილი კლასში, გავათა ვეზიე რაც ქვეყანაზე კლასი იყო; დაბრუნდა რა ფერ გამოწყობილი იცი? ტყულაი რომაა, ბრან წივით იყო, უღვაში გადაწყვეტილი, ტანში გადატეხილი, თავზე არხიმიადიტის დიდი „კატილია“, ფეხზე რაცხა უცხოფერი ცხვირ-დაჩვენულ ნიჩაბს გავდა; მიფარდი საკოცნელათ, მარა შენ არ მომიკდე, შორ გაჩერდა, მივიძრო კატილი დ გააქან-გამოაქანა; ბიქო, ვიფიქრე, აია რაცხას რო ჩივიან, კაცი გავყეთებულვარ, იმდენი უსტავლია რომ თავში დარ ეტევა, ზეთ ამოუწვა და ნამე ტარი დუდილით ქული უუგლო მეთქი; უყვირ კლას, არიქა ედოსიავ, სტავლა გეიქა და მო მეხმარე მეთქი; მიფარდით მე და ედოსიე ქუის და საჭირავათ, მარა „ჩორთი უბირაიკოა“ დაცივირ შვილიმა; არიქა ედოსიავ „ჩორთიქი“ უნდა მეთქი დ მიუტანეთ, მარა სიხლოვეს არ მიგვიშვა. დაჯდ ეზოში. შეხედა სახლს „კაკოეი დომაო“ თქვა, ვი შვილო, მაკოეი, ბებია შენი რა ხანია მოკვდა დ რაღას კითხულობ „მაკოეი ხომაოა“, მარა ნასტავლ აფერი ავიწყლებმა დელილოცა მაგის ტვინი!

მიუტანეთ მქილა და ლობიო; „ხლიბი“ ნია ტუო! შვილო ქლიბი რა ოხრათ გინდა, ზეინკალათ კი არ გამიზღინხარ მეთქი; „სუფა დავიო ვი, შვილო, მოგვცდა მამაშენი, შენი სუფრა ქ გატყდა მეთქი. რას ბრანდვ თუ იციო, მომაყარ და მომაყარა პარუსკი ხოშკაკალსავით. „ჩტო ტ გავარი, ჩორთი პოტრიაღეი, ტინტრიაღეი, სინ ტრიაღეიშო“. დევიბენი კაცი, გამიშტერდა თვალები, ვსცვითე თავი და გადმუფარდი ეზოიდან.

ბუჯგუბი.



ერთ-ერთ სასტუმროს პატრონს

თბილისში.

„სოღერქატელი“ „გოსტინის“, კარგათ ცნობილი პატონი, დიდ ქუას ჩემობს საბრალო, ცოტასი არის პატრონი,

იქცევა მეტათ მტრულათა,  
ბეი, ჯარიმა, სასჯელი  
მან შემოიღო სრულათა!

მას დაუსახავს დევიზათ;  
მოსამსახურე აწვალოს;  
გულში „ლაქიათ“ რომ იყო  
ის დავიწყნი საბრალოს!

მუშათა „კითხვით“ გაგებას  
იგი არ არის ჩვეული,  
დემოკრატიას დასცინის  
გრძნობით, გონებით სნეული.

კინწურაშვილმა ის „თემში“  
ამხილა ღირსეულათა...

ვლიკომც იგი „მერცხალში“  
შეამკო სწორეთ სრულათა.

დაფიქრა ჩვენი „გლახუნჩი“  
ბიკებს არ უზურს მტრულათა,  
გამართლებას სთხოვს სუყველას!  
ხელს გაუწოდებს ძმურათა.

ხომ ხედავთ, ძმებო გაზეთში  
როგორ ვარ გალანძღულიო,  
მე თქვენს ხაზინის მლანძღავენ,  
თქვენ კი არ მოგდით გულიო?!


წადით დასწერეთ, რომ მე ვარ  
პატიოსანი სრულებით,  
თორემ გაგიშვებთ სუყველას  
და ნულარ დამემდურებთ.

შეშინდენ ამით მსახურნი,  
თუმცა აქეთ მისი ჯინია...  
მარა მაინც თქვენს: „არვის ჰყავს  
ჩვენფერი ხაზინია!“.

შეთითხნეს ქების ფურცელის  
ქალღიმი, ერთობ სქელია  
და მოაწერეს სულ ყველამ  
ქვემორე თვის ხელია!

განა გინახავს მათრახო!  
ერთად ამდენი მონები!  
შენგნით ელიან განკურნას  
ამგვარი ვაგებატობი.

ისკანდერ.



# მესტეგრული

(ფოთელენისათვის).

ერთი თვე არის კურტანი  
ზურგზედ არ ჩამოშიდვია  
ჩემი გულუნა მოგნახე  
ილლიას ამომიღვია;  
მინდა გაგაცნოთ ღიღინით  
ღიღი-პატარა, ფლიღია,  
მგზავრობისათვის გავდევი  
ფოთ-ბაქოს შუა ხიღია.

პირველათ მოვიწახულოთ,  
ლენტი პროვაკატორი  
დაბალი, ჯიჯგვი, მსუქანი,  
ზნეობის მხარით კოტორი;  
მუშების დაბეზღებითა;  
გაუმსო უფროს გოდორი!  
ყოილობაშისა ნადავლით  
შემოირბინა მინდორი.

რომ არა ცხრება იუდა,  
ეს ძმების გამყიდველია,  
ზევით და ქვევით დაძვრება  
ვითა მსუნაგი მელია;  
დანოსებისა წერითა

არ დაეძალა ხელია  
ვერ წარმოიდგენ მკითხველო  
თუ რა ქორების მოქმედია.

მოსამსახურებს ნუ იტყვიო  
სულ გაუწყალა გულია  
დამონავა ყველანი,  
გახდა ბედის კრულია;  
ისედაც დაბნეავებულთ  
მიმატა წყლულზედ-წყლულია,  
რა წაუკითხა დეგეში  
მისგანვე მოამახულია.

ვითომ მოვიდა „პრიკაზი“,  
საწყენი ერთობ რთულია,  
თუ არ გინდოდეთ დაკარგოთ;  
ჯამაგირიდან ფულია  
დააწყნარევიო მუშები  
ნუ არის გაფიცულია,  
თორემ სულ ყველას დავითხოვთ  
არ წაწყდეს ჩემი სულია.

მას თან დაყვება ფინია,  
„გმირათა“ წოდებულია  
ერთი შეხედეთ მაიმუნს  
რა რიგათ გაგუდულია  
„აჯა“!... შენ წუწკო, მსუნავო,  
რამ მოგიმატა გულია?  
სავანეთ არ მოიმზადო  
შენგან განვლილი ხნულია.

რაც შეეხება ყიზილბაშს,  
ეხლანდელ დროის ნერონსა,  
ფიციავარ მის ვაჟ-აკობას,  
შუბლზედ მორეცხილ მირონსა.  
მის ეხლანდელ ცოლს ბეგთა-ბეგს  
თუ გინდ საყვარელ სტამოსა  
ეხლა შიმშილით კვდებიან  
ვინც რომ სამივე შემოსა.

ნუ შევაწუხებთ ყიზილბაშს,  
დადლილი არის ისეთი  
რომ ფეხით შემოიარა,  
ბაქოსა მხარე სპარსეთი;  
გაფიცულების მაგივრად  
მოასხა მუშა ას-ერთი  
მაგრამა სამუშეირზედ  
ვერ გაიყვანა ვერც ერთი.

მიზეზი სულ უბრალოა—  
ხურო არ არის ნალბანდი,  
ქუჩის მკირწყველმა, რა იცის  
როგორ დაქვირთოს ხომალდი.  
ტყვილით დაუბრა ნათქვამი  
ლეონტის პირით „ხოვგელი“

რუსულ თათრულათ დასქირდა  
ეხლა რომ უთხრას „მარშ-გელი“.

ეხლა დაფურთოთ ვუდუნა  
შემდეგში გვეყვავეს ფინიანი,  
თქვენი ქირიმე ბიჭებო,  
ყოფილხართ ძარღვებიანი;  
ყოველი მხრიდან ვაისმის  
მომხმარე სიტყვა მთლიანი,  
წრფელი სალამი მიიღეთ  
ვაგზლის მუშა ვარ—

იანი.

# ჭიათურის ჯურღმულებში

(სატანას ხეციალი)

I

„ანგელოზთ“ გუნდში ყოფნა მინდოდა  
და არ მიმიღეს მე ცოლდის შეილი,  
ჰე, მას რა უთხრა ვინც მილალატა  
და ვინც მაგემა ადამის ხილი...  
გამორიცხულსა ტოლ-ამხანაგში

ბელმა მარ გუნა მხოლოთ ეს წილი,  
თუ რამე ცოლვა თქვენც შეგამჩნიეთ  
გაგამხელთ ჩემი ამოძახილი.

„პასპორტი“ ძველი გამომიცვალეს  
შიგ ჩამიწერეს ეშმაკი, „სატანა“  
არავის ვსურფარ, არც არავინ მსურს  
ვერ შევეთვისდები ამხანაგთანა...  
აი სარდაფის კარი გაგაღე,

ეგ არის ჩვენი ძველთა სავანე,  
როგორც სატანას შეფეყრება  
ვახშამიც კუჭში დავასამარე.

ამ დროს მოისმის ოთახსიდგანა  
რუსულად ხვევნა ალერსის ხმაი:  
„ლიუბლიუ ტებია მოია ტამარა“...  
ვერ დათავა ამ სიტყვის თქმადი,

გამოვეცხადე ვით ტარტაროში,  
მარტო მომასწრო ერთილა ვი  
და ინეინერი, ეს ვინმე „ბურჯი“  
ჩემს წინა იღვა როგორცა ქვაი.

მე თითონ შემრცხვა მის მაგიერათ,  
ისე შეჰკროდა საბარლოს ყბაი,  
იქვე დავტოვე დამუნჯებული  
და სამათრახო მოვენებ ხევი.

შემდეგ წავედი და ვინახულე,  
ორგეიანი, ეს გმირთა-გმირი,  
მუშების ბრაზით აღევფებულსა  
დორბლითა ჰქონდა აესლო ბირი.

კაცი გმირი, უღალავი აფთარი,  
ვერ სდრეკავდეს იმას ყინვა ზამთარი;  
და თუ ცოლმა აურია დავთარი,  
იგი მაშინ სასიკვდილოთ მზათ არი.  
ველარ იტანს გულს ბოღმა მოსწოლია,  
ეს იმისთვის რომ მიზეზი ცოლია.

ზოგი ერთას თუმცა ვი ეწყინება,  
ამის გამოთ გულში შევიგინება;  
ღმერთო მიეც მკირედა მარტინებს,  
და როდესაც ცრემლს დაუდინება  
მასაც ზედება ჩემისთანის როლია,  
მაშინ იგრძნობს რომ მიზეზი ცოლია.  
ან. განჯის-კარელი.



რალაც ოხერი ფოთია, მუღამ ჩხუბი და შფოთია..

ელევატორის საკითხმა  
სახე მიიღო მწყარალია,  
ნათელ აზრს, წინ გადაუდგა  
ძველი შეგ-ბნელი ძალია.  
„ბურგომისტრისა“ აზრები  
და მისი სამართალია  
აღარა მიდის ექსტრენათ,  
ღარა საჭირო ხმალია...

ნიკოს აზრსა და „პროექტსა,  
ბევრი აღუდგა წინაო,  
ორათ ვაიყო ხმონები  
შეირყა ნიკოს ბინაო,

ზურგი აქციეს მის ზრახვას  
და ვაიცხუნეს შინაო.  
„სოლომა“ ხმალი ვალესა  
ქუნაში გააფრინაო.

და შეუძება „უტუს ჯარს“  
„აბა გამოდით კარშია“  
ხომ ზედაეთ რა გვემართება  
სისხლმა ამხეთქა თავშია.

მოდით ვებძლოთ გმირულათ  
თუ გაქვენ ძალა მკლავშია.  
რას უბედავენ ნიკოსა  
კაცი ჩაადგეს ჯავრშია,

მაგი ქე წავა ექედან  
და ჩვენ ჩავცივით წყალშია...“

მოაწია სხლომის ვადამ  
აირია მთა და ბარი,  
გამოვიდა საბრძოლველად  
უტუს გროვა, უტუს ჯარი,  
სარდლათ ჯარსა აერჩია  
**გვიჩია** და მისი **ჯარი**  
მეორე მხრით მებრძოლ რაზმსა  
დაუშვენია თედომ მხარი...

სხლომა გაიხსნა, დაბრძანდენ  
ხმოსნები მირონ ცხვილი,  
ქოჭუხა შვაში ჩამჯდარა  
იყვედრის განრისხებული:  
„ხომ ხელავთ რას გვიმედვენ  
ნიკო გამოდის ძლეული,  
ეს ყველა მიხას ბრალია  
მაგია გადარეული“.

ამ სიტყვის გაგონებაზე  
შეიქნა ბრძოლა. სახარი,  
სარდლები გაიძახიან:  
„აბა ვინა ხართ მედგარი,  
ეკვეთეთ მიხას პარტიას  
გაუპეთ გულის ფიცარი,  
დასწყვიტეთ, და ან განდევნეთ  
იმისი მომხრე ვინც არი...“

„უტუს ჯარმა“ გაიმარჯვა,  
სოლომონმა თავს უშველა,  
ნიკოს ლაქია-ხმოსნები  
დაიქსაქსა ერთბა ყველა...

ამ გვირად საქმე მოგვარდა,  
ერთი სხლომა ჩინაშლა,  
(თურმე ამას მოქმედებდა  
ძველი ნიკოს ბნელიძია?)

ხელიკი.

## გურული სცენა

ერთილი და ჯარისპან:

ერ. გამარჯობა ჯარისპან, რუაა საქმიები?

ჯარ. რა გითხრა ძმავე, ანტონის არ იყოს  
ქვეყანა აროხვილია, ვდემოკრატობდი და ჩვენ სჯულ-  
ზედ თავიც მოიშონდა, წყელში გამარული ვიარე-  
ბოდი. გამოვიარე აუთიექის წინ, ჩამოსულა ჩვენი  
ბეჟანი, შეუყრია ვინცხა ვინცხაიხა თავი, და მოპ-  
ყოლია: დემოკრატობა ძაან სირცხვილია, ქართველი  
თუ ხარ ფედერაცია უნდა იყოვო. დემოკრა-  
ტიზმა ჩვენს ქართველს დებუტატს ბრალი დასწამეს,  
გაზეთში ჩუუწერეს, ეხლა ჩამწერელი ცერელოვი  
პასუხის გებაში უნდა მივეცეო.

ერ. უი კაცო, აი ბეჟანი რაღა მოხელეა?

ჯარ. არ იცი კაცო ფინკოვი რომ იყო? ერთ

სტაქან ლენინს რომ დააღვივებდი, რისიანა ქა-  
ლალს შეადგენდა რომ მტყუნს გაამართლებდა და  
მართალს საკატორლოთ გაგინდინა საქმეს!!

ერ. მაგას თავი დავანებოთ, წყუხელის ჩვენი  
ხელოსნების კრებაზედ თუ იყავი?

ჯარ.— იყავი, როგორ არა. \*

ერ.— რა ამბავი იყო თუ ძმა ხარ, რა უთ-  
ხრეს ჩვენს ძველს გამგეობას?

ჯარ.— ხომ იცი ძმაო, ზოგიერთი ჩვენი ენა  
მოქლიზული ხალხი რომ არის. დუუწყეს კრიტიკა  
საქმე კარგად გაგვიკეთებია, მაგრამ რაცხაზე ხელის  
მოწერა დაღვიწყებიაო. მაკვირებს ზოგიერთი ნასტუ-  
ვლი კაცის საქმე, თუ რამეში დასახელე, მოგვიყობა:  
ქვეყნის საქმეს ჩვენ ვაკეთებთ თქვენდა საღა  
გვცალიაო. პაწი ჩვენმა ბოქალმა ც გაგვიწყრა  
ყველაფერი თუ არ იცით რას დგებით, ვინცხა სხვა  
დადგებაო.

ერ.— მერე რა ქენით?

ჯარ.— რა ვქენთ და ყველას არც ჩვენ  
ჩაფერენივართ კალთაში, გუურიეთ შიგ ჩვენი  
ხელოსნებიც და ქე წამოვიდეთ შინ.

ერ.— მტეი არაფელი ყოფილა?

ჯარ.— დასურ კიდევ რა გითხრა, გვიხვედ  
აგერ სტოლის თავში, ვინცხას ამოუღია დიდი კნი-  
ტა და რაცხას იწერს. ვიკითხე, ეს კაცი რაღას  
შობა მეთქინ! ეს გაზეთ ჟურის“ მწერალიაო, ჩვენი  
ამბვეები იქ უნდა ჩასწეროსო.

ერ.— ხო, ხო კი ვიცი, აქ ახალ ჩამოსულია,  
თვადების დებუტატს რომ დასდევდა კულში ამ  
ჩვენ ბანკზედ თუ რამეს დასწერს, თვარა მისი და  
პეტერბუგელი ფედკას განაქებო დებუტატი ქე  
შეურცხვათ.

ჯარ.— მგონი ჩვენს გრიგოლსაც გუუარა მისი  
იქით-აქეთ სირბილი და შეხვედრა.

ერ.— რომელ გრიგოლს კაცო?

ჯარ.— ჩვენი ვასილის ტელეობრანტელი რომაა.

ერ.— ყოლიფერი შენ რაფერ უნდა თქვა,  
როის ნახე ვასილისას ან სადილზედ ან ვახშამზედ,  
ან სკლადიდგან სახში რომ მიპარავებდა?...  
ჯარ.— მე არ მიხახავს, მაგრამ ქვეყანა ასე  
ამბობს.

ერ.— ქვეყნის ნალაპარაკევი სხომის როის იყო  
მართალი ეწლა რომ იქნება?!

ჯარ.— კაი ძმავე, მშვიდობით! ვინცხა გაზეთში  
ჩაგვწერს, ქვეყნის ამბავს ლაპარაკობენო.

ქაჯი პეტრე.



# პატარა ფეკეტონი

ვიზიტები შორიდან.

1.

მომწყინდა მუდამ ქვითინი, ოხვრა და გმინვა

მწარია;

გულს სევდა მიღრღნის, თვალთაგან გადმოდის  
ცრემლთა ღვარია.

ესთქვი—მოდი ერთი წავიდე, ვიარო მთა და ბარია,  
იქნებ შევსცვალო ერთბაშად ცხოვრება განამწარია.

და... გადავიყარე სევდები—სული და გულის მწყვე-  
ლია,—

გადავივიწყე დროებით ყოველი განსაცდელია...  
ზურგზედ ნაბადი მოვიხსი, სტვირს წამოვავლე ხელია

და გურულ კრიმანქულისთვის ამოვიწმინდე ყელია.

შემოვიარე სამშობლო, დიდი ხნის უნახავია,—  
ენახე რაჟა და ლეჩხუმი, ხევსურეთი და ფშავია;

გურიას ვიყავ, იმერეთს, მთები გადაველ შავია  
და კახეთიდან პირდაპირ ქართლში ამოვეყვ თავია.

„მამული შვილებს“ ვეწვიე, ჩამოვიარე გმირები,—  
ვიხილე ყველა ერთობით, თბილ აღვიღს შეკრები-

ლებია..

რა დამინახეს—განრისხდენ, გააკრაქუნეს კბილები,  
ზოგმა კვანტებიც მესროლია, ვით ალაგვიძის ვირები.

ენახე, რომ „სიტყვა“ სტიროდა, თავზედ ეყარა  
გვანია,

ესთქვი—ამ მამულის მოსარჩლეს პირიც ვერ დაუ-  
ბანია!..

ის იჯდა შვა-გულ ნაცარში, გარშემო ერთკენ  
სხვანია,

და გულ-ამოსკვნით მოსთქვამდენ, ისმოდა გლოვის  
ხმანია!..

ჯაჯანაშვილი არჩილი სიცრუის გულას ბერავდა,  
პასუხს აძლევდა „შორეთლს“, ქორიკანობას სწყე-

რავდა!..

წვერ წატეხილი კალამით ის თავის ბანაკს ზეგრაგდა  
და ქედს უხრიდა სიყალბეს, სიშართლეს ფეხ-ქვეშ

სთელავდა!..

და გამოვედი აქედან, „თემს“ მივაღდექი კარზედა;  
ვიხილე დისამიძე ხელშამოდგმული თავზედა!..

ქინებოდა საბრალოს, პასუხს არ მცემდა ხმაზედა,  
ბევრი ვეფერე, ვაღვიძე, ვერ მოვიყვანე ქვაზედა.

იქავე ენახე მჯდომარე რენევატ-გომართლია;  
რომ დამინახა, განცვიფრდა, მყის შეეცვალო ფერია.

ვკითხე—რა გითქვამს, ვანოჯან, რა წიგნი დაგიწერია?  
რად იმათრახებ თავის თავს, რატომ ხარ თავის

მტრია?!

მან მიპასუხა:—„მე მიყვარს სიშართლის წინადა-  
მონება“!..

პეტი კი აღარ ვაცალო სხვა რამის გამოგონება;  
„მამული შვილებს“ ვუკუთხე ამისი ქვეა და გო-  
ნება

და მყის მოვეკურცხლე აქედან, მწვეწარს ხანდა-  
შენ-მყოფე ქონება.

„ზაკავასკია რეში“—კი ძალად შეველე კარები,  
იქ დამხვდა პართენ გოთუა, სხვისი არ მასსოვს ვე-  
რებია!..

ჩაფიქრებული, მრისხანე—ის იჯდა განამწარები,—  
„ზოგრომს“ აწყობდა, მგონია, მზად ჰქონდა ყველა

პლანები!..

ამბობდა:—„ჩვენაც ხალხნი ვართ, ჩვენაც გვაყვს  
მარჯვე სეოლებია!..

ნაკაშიძე და ღუმბაძე—რუსეთს ვუძღვენიტ გმირები.  
ის არის ჩვენი ღიღება, ჩვენშივე გამოზრდილებია—

მათ ვანაცვალებ ყველაფერს და მსხვერპლათ შევე-  
წირებია“.

გრიგოლ ყიფშიძეს ჩემზედ წინ იმ დღეს არავინ  
სწევვია,—

მას ვკითხე—ძვირფას ოქროში თუჯი რად გაგირვევია?  
ისიც დასელის ბრალია, გონება რომ შეგრყვევია?

მარა ეტყობა კოქებში მასალა გამოლრვევია!..

კახეთში კოტე ტყავაძეს სიხმარი ესიზმრებოდა—  
ხელავდა—ქვეყნის სახსენლად ძლიერი რაზმი ღვე-

ბოდა!..

„მამულაშვილთა“ არმიას „ნარიძე“ წინ უძღვებოდა  
და ყველა ჯგუფთა თანხმობით საერთო საქმე

წყდებოდა.

რა დავიარე თბილისის „პატრიოტების“ ჯარია,  
ქუთაისისკენ ვავყევი, გზა და გზა არ მიჩქარია!..

იქაც მიმიღეს „გმირებმა“, ერთმაც ვერ მითხრა  
ვარია.

თუმცა, ხომ „იცი“, მკითხველო, არც ერთსაც არ  
უხარია!..

იქაც ვიხილე პირისპირ „მამული შვილთა“  
კრებული.

ენახე—კიტა და გიორგი შავი ქვით მირონცხებული;  
დავით. ვასო და სილოვან, „ერეკლიან“ განწყობილი

ღრმა აზროვნებას წაელოთ და იყვენ ჩაფიქრებული!..  
ვკითხე: რა მოგლით, „გმირებო“, რატომ გი-

ცვლიათ ფერია?

თქვენს საღმერთებელ ვარლამზედ „ოგი“ ვის დაუწყე-  
რია!..

გლებებს თუ ტყავი გააძრო,—ეს დიდი არაფერია!..  
ან-კი „ყაძახის“ ნათქვამი აბა, რა დასაჯერია!..

და ეს დაცივნა, შეგატყვე, გულს მოხვდა ერ-  
თომ ყველასო;

ურომ რაღაცა მალულად ანიშნა „კვირიკელასო“!..

ვიფიქრე—ვაი ბაბუს—აქ კი წაიწყდი ბელოს და გავიქეცი იქიდან, ხელი აღვადგე მღერასო.

თუმცა გურია მენახა უნდა სულყველის წინაზე, მარა არ ვქენი მე ავი ვილაღ-ვილაღს ჯინაზე. ოზურგეთს ღამით ავედი, ჩუმთ ჩაოვებტი ბინაზე, არვის ვაძნობე იქ ყოფნა, ახლოს კი ვიყავ შინაზე.

გული მიცემდა საშინლად შიშით დავკარგე ფერია; ვფიქრობდი—ვაი, თუ მნახეს, მომხდება ზურგზედ ქერია.

იქ შემდღურიან ქალები, ყველანი ჩემი მტერია, რადგან იმათი „დიდება“ არ ერთხელ დამწერია...

მარა ვერაფერს ვერ გავხვით, მაინც მიმიხთენ მტერები;

იმავე ღამეს გაიგეს და მომიყენეს მცველები... სატყეველად მოეწყვენ, გაახაზირეს ხელები და ცოტა აკლდა, კინაღამ ამომიზილეს წელები..

ძლივს გავექეცი იმ ობრებს უტეში, უვნებელია, ძველი ბინისკენ გავსწიე, ვიარე ზღვა და ხმელია. ძლიერ დავღონდი მგზავრობით, ძალ ღონე გამომეღლია და კრიმაქულიც არ ძალმიძს ისე, გამიხმა ყელია...

**მ. ცხვირადე.**

**ჩემს ვარდს.**

მისთვის სულაც არ მომწონხარ, რომ ტურფა ხარ მშვენიერი, არც მისთვის, რომ ყველა გეტრფის (თუმცა ბევრიცა გაყავ მტერი). არც მისთვის, რომ ვერსად ენახო შენი ტოლი, შენი ცალი, არც მისთვის, რომ ხშირად ვებდავ ბევრსა რჩება შენზედ თვალი; და იმისთვის კი სულ არა,— რომ მწამს შენი მომავალი; მხოლოდ მისთვის, რადგანც მგერა — ხარ უმანკო, —დაუმზრალი.

მოსე.

**მიზეზი კი ცოლია**

ჩვენს მხარეში იცით თუ რამ ჯოლია? რომ ოჯახის ჩირქის მცხობი ცოლია; დაპერწმუნეთ ვფრცავ ქვეყნის გამჩენსა, ამისთანა ცოლი ბევრსა ჰყოლია.

ვაფი-კაცი რაინდ იყოს მოზგები, ავ-კარგისა გამჩრევი და გამგები; სიბი ქვაზედ სახლ-კარისა ანგები, თუ ცოლი ჰყავს ბოროტ მახის დამგები... რომ ქვეყანად არა ჰყავდეს ტოლია, ამ გვარ კაცის წამხდენელი ცოლია.



ქვიშის სულა-მსუთავი.

ერთი სიტყვით კაცი ნამუსიანი, ოჯახისთვის მხენ ერთგული ფხიანი; მეტის-მეტე მეცნიერი ქვეყანი, თუ ცოლი ჰყავს მასაც ღალატინანი... თუმცა მეტად ნამუსის მიმყოლია, ამის გზისაც ვადამცდენი ცოლია. ნაქები და კაცი მეტად მდიდარი, ქვეყნად იყოს გავარდნილი მის გვარი; ოჯახისთვის ერთგული ანგადარი, ცოლის ქცევით თუკი გული აქვს მკვდარი... თუ ვაიგო სხვისა გვერდით მყოლია, ჰქმის წახდენის მიზეზი თვით ცოლია. რა ვინდ იყოს კაცი მეტად ამაყი, ვერ დასძლევდეს ჩმას მდევი ბაყბაყი; მოსპობილი ჰქონდეს ღვინო არაყი, ცოლის ქცევამ ვაღიყვანოს მალაყი... მით შეიქმნეს სასძელის მიმყოლია, იმას ნიშნავს რომ მიზეზი ცოლია.

*ნომ რად  
ბერანტ*